# ხელშეკრულება №79

ქ. ნინოწმინდა 12 ივლისი 2013 წ

ერთის მხრივ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მისი თავმჯდომარის სუმბატ კიურეღიანის სახით, მისამართი ქ. ნინოწმინდა პუშკინის ქ. №43 შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ი/მ „ ავთანდილ ვანაძ", მისამართი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. სპასოვკა , შემდგომში „მიმწოდებელი", შეუთანხმდნენ შემდეგზე

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 სოფ. სპასოვკა სპორტული ინვენტარის შეძენა 2013წ

2. სამუშაოების ღირებულება

2.1 საორიენტირო თანხობრივი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 9217,00 ლარს

3. სტანდარტები

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს/შემსყიდველის მიერ შექმნილი კომისია/უფლება აქვს ნებისმიერ ეტაპზე გააკონტროლოს მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება, ასევე ჩაატაროს პერიოდული ინსპექტირება სამუშაოს სახით

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის /ინსპექტირების/ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით

4.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5. სამუშაოების შესრულების პირობები

5.1 ხელშეკრულების დადების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ხელშეკრულებაში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო პროცესში ჩართული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობით არანაკლებ 70% ის ოდენობით, თუ სამშენებლო ობიექტი განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრის საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში

7.2 ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველი უფლებულია გადარიცხოს მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე პროექტის საერთო ღირებულების 70 %, ხოლო 30% სამუშაოს დასრულების და მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან ორი კვირის განმავლობაში

7.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. აუცილებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ

8. ფასები

8.1 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დაუშვებელია.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე შემსყიდველი არ არის ვალდებული წარადგინოს მტკიცებულება იმ გარემოებაზე, რასთან დაკავშირებითაც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით აღებული თავისი ვალდებულებები სხვა პირებს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ, შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში,თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ფორს მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციაში.

12.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

12.3 ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10% ოდენობით.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად შეწყვიტოს ხელშეკრულებამიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა/ თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია სამუშაო.

ბ/ თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება

13.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე

ა/ თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

ბ/ მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.

გ/ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორული ნიშნავს მხარეებისათვის შეუვალობას და დაუძლეველობას და რომლებსაცვლიანია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 15 სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით დაარეგულირონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

## 16 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება მოქმედებს ზემოაღნიშნული თარიღიდან 2013 წლის 30 ნოემბრამდე.

## 17 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო",
მდებარე: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქუჩა, №43.

საიდენტიფ. კოდი: 236689669

ბანკი: სს"ლიბერთი ბანკი" ქ.ნინოწმინდა
კოდი: 220101494
ა/ა: GE51LB0120146252122000

მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სუმბატ კიურეღიან

ი/მ „ავთანდილ ვანაძე"
მდებარე: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. სპასოვკა

საიდენტიფ. კოდი: 32001005819

ბანკი: სს"ლიბერთი ბანკი" , ქ.ნინოწმინდა
კოდი: LBRTGE22
ა/ა: GE34LB0610009436020381

მიმწოდებელი